ოქმი №2

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომისა

აბაშა, 2021 წლის 28 იანვარი

ოქმი №2

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2021 წლის 28 იანვარი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა მ. კვიტაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: გ. ხოშტარია, გ. კუპრავა, გ. მიგინეიშვილი, კ. კუჭუხიძე, ტ. ხოშტარია, გ. კუცია, რ. ჩაჩავა, გ. კაჭარავა, ე. ნოდია, ზ. ალასანია, ი. ჭანტურია, შოთა ჭანტურაია.

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი გ. ხურცილავა და საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის გაზრდის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს: გ. კუპრავა
2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

   მომხს: მ. კვიტაშვილი

1

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის გაზრდის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: გ. კუპრავა

მომხსენებელმა გ. კუპრავამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის გაზრდის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: მ. კვიტაშვილმა, გ. ხოშტარიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის გაზრდის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განსახილველად გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დ. ცანავა.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

2

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. მ. კვიტაშვილი

მომხსენებელმა მ. კვიტაშვილმა წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა მოწვეულ იქნეს 2021 წლის 29 იანვარს დილის 10 საათზე, დღის წესრიგით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის გაზრდის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს: დ. ცანავა

საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ბიუროს ყველა წევრმა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი